პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 211 (4205)

1970 წ. 27 ოქტომბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# ტურიშჩევა მსოფლიო ჩემპიონია

### ვორონინა — მესამე პრიზიორი

ლიუბლიანა, 26 ოქტომბერი. საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ლიუდმილა ტურიშჩევამ 77,05 ქულა მოაგროვა და მრავალჭიდში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა ე. ცუჰოლდმა (გდრ) — 76,45, III — ზ. ვორონინამ (სსრ კავშირი) — 76,15.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა, რომლებიც ბრწყინვალედ გამოვიდნენ ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. ტურიშჩევა დვირზე ვარჯიშისას.



## სპორტი საზღვარგარეთ

# კენმოცუ და იაპონიის ნაკრები...

ლიუბლიანა, 25 ოქტომბერი. ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობენ ე. კენმოცუ — 57 ქულა და იაპონიის ნაკრები — 284,1. საბჭოთა გუნდი ოლიმპიურ ჩემპიონებთან 4,25 ქულას აგებს. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებიდან საუკეთესო — მსოფლიოს 1966 წლის აბსოლუტური ჩემპიონი მ. ვორონინი სავალდებულო პროგრამის შემდეგ IV ადგილზეა — 56,4 ქულა.

შაბათ საღამოს დიდი მღელვარება გამოიწვია როგორც საბჭოთა, ისე იაპონიის გუნდის გამოსვლებმა. შეცდომები მოსდიოდათ არა მხოლოდ დებიუტანტებს, არამედ ლიდერებსაც — ნაკაიამას, ვორონინს, კლიმენკოს. მარტო კენმოცუმ გაიარა ექვსივე იარაღზე შეჯიბრება თანაბრად და ლიდერის ადგილი დაიკავა. მან ჯილდოდ მიიღო მწვრთნელის — ტოკიოს აბსოლუტური ოლიმპიური ჩემპიონის ი. ენდოს მილოცვაც. მაგრამ, სჯობს ყველაფერი თანმიმდევრულად ვთქვათ. შეცდომები თავიდან ვ. კარასიოვმა დაიწყო. ორძელზე მან 8,15 ქულა მიიღო, ღერძზე კი 7,8. მისი მეუღლე ო. კარასიოვა ორი ასეთი მარცხის შემდეგ ფიცარნაგს ალარც უყურებდა, როცა ვალერი იარაღთან მიდიოდა. ჩვენი მთავარი მეტოქეების იაპონელების გუნდიდან ერთ-ერთმა ლიდერმა ა. ნაკაიამამ ტაიჭზე 8,3 ქულა მიიღო და პრაქტიკულად უკვე გამოაკლდა ოქროს მედლებისთვის მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა რიცხვს. ვ. ლისიცკის მარცხი მოუვიდა თავის საყვარელ თავისუფალ ვარჯიშში — 8,95.

პირველი სამი იარაღის შემდეგ წინ იყო სსრ კავშირის გუნდი, მაგრამ შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებს ტაიჭზე გაუჭირდათ. ახლა უკვე იაპონელები ჩაუდგნენ ბრძოლას სათავეში. ვორონინმა ტაიჭზე სულ 8,75 ქულა მიიღო და პირველი ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. მთელი საღამოს მანძილზე მან ერთადერთი შეცდომა დაუშვა და ისიც ასე ძვირად დაუჯდა.

ამის შემდეგ ცხრილის პირველი სტრიქონი ახალგაზრდა სპორტსმენმა ვ. კლიმენკომ დაიკავა. მასთან ერთად იყო იაპონელთა მეორე იმედი კენმოცუ: ამას მოჰყვა ახალი წარუმატებლობა რგოლებზე და ხტომებში. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა გ. ბოგდანოვმა ორივე ვარჯიშში მხოლოდ 8-8 ქულა მიიღო. პირველივე ნახტომში მას საერთოდ ნოლი ქულა ხვდა. აი, რას ნიშნავს ნერვული დაძაბულობა.

ლიდერმა ვ. კლიმენკომ რგოლებზე დაბალი შეფასება — 8,45 მიიღო.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ პირველ შვიდეულში შედის 6 იაპონელი და 1 საბჭოთა სპორტსმენი — ვორონინი. კლიმენკო მ. ცერართან (იუგოსლავია) VIII-IX ადგილებს იყოფს. ს. დიომიდოვი XI ადგილზეა, ვ. ლისიცკი — XIV, გ. ბოგდანოვი XVIII-XIX ადგილებს იყოფს. კარასიოვი 41-ე ადგილზეა. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, იუგოსლავიელმა ი. ივანჩევიჩმა თქვა: „პროგრამა უაღრესად რთული იყო, განსაკუთრებით რგოლებზე და ღერძზე. პირველობისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. მთავარია ნებისმიერი კომბინაციების შესრულება. ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 4 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობის ოსტატობა შესამჩნევად გაზრდილა. და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ ამით ვხსნი მე ვორონინისა და ნაკაიამას მარცხს ტაიჭზე, კლიმენკოს წარუმატებლობას რგოლებზე, ცერარის მარცხს რგოლებზე და ხტომაში. ძალიან დიდი ნერვული დაძაბულობა იგრძნობოდა. თუ ადრე პრიზიორთა სახელზე ოცნება მხოლოდ 2-3 ტანმოვარჯიშეს შეეძლო, ახლა ჯილდოების მაძიებელთა წრე 10-12 კაცამდე გაიზარდა. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. თანაბარი ძალის მეტოქეთა ბრძოლა მუდამ სტიმულს აძლევს ტანვარჯიშის პროგრესს".

## დიდი გამარჯვება

პოლტავა, 26 ოქტომბერი (დეპეშით). აქ რამდენიმე დღეს გაგრძელდა სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოტოკროსი, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

● ●

## „60-ათასიანთა" ფინიშზე

გუშინწინ ბათუმის „დინამოს" სტადიონზე სტარტი მიეცა აჭარის V საოლქო სპარტაკიადას, რომელშიც მონაწილეობენ ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებათა კოლექტივები. ფინალურ ასპარეზობაში 1500-ზე მეტი სპორტსმენი გამოდის, სულ სპარტაკიადის წინასწარ ეტაპებში კი მონაწილეობა მიიღო 60 ათასზე მეტმა ფიზკულტურელმა. სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო ტიტულს ერთმანეთს ეცილებიან ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონების გუნდები.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის პროგრამა 19 სახეობას მოიცავს. ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები ათ სახეობაში ასპარეზობენ, სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები ცხრაში. სპარტაკიადის საზეიმო გახსნას დაესწრნენ აჭარის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სპორტის მესვეურები.

სპორტსმენთა დიდი ფორუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ქაჯაიამ. მან მონაწილეებს წარმატებები და მაღალი სპორტული მაჩვენებლები უსურვა. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ ალმის აღმართვას. ეს საპატიო უფლება მიეცათ რჩეულთა შორის რჩეულებს: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გ. გოგიჩაიშვილს, სსრ კავშირის ჩემპიონს ჭაბუკთა შორის გ. კუნჭულიას, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრებს ვ. ფეოდოსენკოვასა და ვ. გოლობაროტკოს. ზეიმის დასასრულს მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები.

გამოვლინდნენ აჭარის V სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები მძლეოსნობაში. ვაჟთა სპრინტერული რბენა 100 მეტრზე მოიგო ვ. ვიუნოვმა — 11,2. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე იმარჯვა ვ. ფეოდოსენკოვამ — 12,6.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## რეკორდები

ჰელსინკი, 25 ოქტომბერი. ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის ოლიმპიური ჩემპიონის — ფინელი კაარლო კანგასნიემის უმცროსმა ძმამ კაუკომ იმავე წონაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა აკრატში. მან 165,5 კგ აჩვენა, რაც ესტონელი კ. უტსარის წინანდელ რეკორდს 0,5 კგ-ით სჯობს.

ფენიქსი, 26 ოქტომბერი. ბრწყინვალე შედეგით დაამთავრა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის მსროლელთა გუნდმა (ე. პეტროვი, ი. ცურინოვი, ნ. ბენეში, ვ. სეროვი), რომელმაც მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში 580 თეფში დაამსხვრია და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ათენი, 25 ოქტომბერი. მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში 28 წლის ჰოკით მხტომელმა ქ. პაპანიკოლაუმ იერიში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე და მიზანსაც მიაღწია — 549 სმ. ეს შედეგი ძველ მიღწევას 3 სანტიმეტრით სჯობს.



# წინაქ III საკავშირო...

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა სპორტული ფილმების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სპორტულ თემაზე შექმნილი 26 კინოსურათი — მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური. საქართველოს კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილი ფილმებიდან, რომლებიც კონკურსში მონაწილეობდნენ, ჟიურიმ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ხელმძღვანელობით დაასახელა საუკეთესონი.

პირველი პრემია მიეკუთვნა ორ ფილმს: საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოებებს — „საქართველოს სპორტსმენები" (რეჟისორი შ. შონია) და გ. ასათიანის ფერად სურათს „ინგლისური ჩანახატები".

II ადგილი წილად ხვდა კინოფილმებს „კლდის ვეფხვი" (რეჟისორი ო. გურგენიძე) და „ეს რეგბია" (რეჟისორი ი. ასათიანი).

მესამე პრიზი დაისაკუთრეს კინოსურათებმა „უთოფო მონადირე" (რეჟისორი ჯ. კერესელიძე) და „მეოთხე საიუბილეო" (რეჟისორი თ. ნოზაძე).

გამარჯვებული კინოფილმები დაჯილდოებული არიან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

ფესტივალი, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად იქცა, დამთავრდა, მაგრამ ქართველ კინემატოგრაფისტებს სულ მალე კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელით — დეკემბერში რიგაში გაიმართება სპორტული ფილმების III საკავშირო ფესტივალი.

შ. ორჯონიკიძე,
ნ. მესხი.

## 1300 კილომეტრის შემდეგ

კოკანდი, 25 ოქტომბერი. საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა უკვე დაფარეს 1300 კმ და ფერგანისველიდან გეზი ისევ უზბეკეთის დედაქალაქისკენ აიღეს. რბოლას კვლავ ლიდერობს დუშანბელი დინამოელი ს. შეპელი. გუნდურ ჩათვლაში წინაა შეიარაღებული ძალების ნაკრები, რომელიც 3 წუთით უგებს II ადგილზე მყოფ „ბურევესტნიკის" ველომრბოლელებს. დღეს მონაწილეებმა შეჯიბრება გამართეს 30 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. აქ უძლიერესი იყო დ. ტრიშინი (კიშინიოვი), მისი შედეგია 42.55. II ადგილზეა ნალჩიკელი პ. ტრუბგელერი — 43.04, III — გ. ცაუნე (რიგა) — 43.36.

მორიგ, 116-კილომეტრიან ეტაპზე პირველი იყო ბურევესტნიკელი ი. სკოსირევი. გამარჯვებულის დროა 2:44.17. მას 17 წამით ჩამორჩნენ ხარკოველი ჶ. სტარკოვი და ომსკელი ი. ოსინცევი.

# 5. ზოგი რამ ტანვარჯიშულ კურსებზე

### კურსები 1870-იან წლებში

**ახალი მასალები სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან**

1870 წლის 5 იანვარს სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში შტატების შემდგომი გაზრდისთვის ყოველწლიურად დაეშვათ 143.777 მან. აქედან ტანვარჯიშისა და გალობის მასწავლებელთა ჯამაგირის ხელფასად იმავე წლის მეორე ნახევრისთვის განკუთვნილი იყო 16.136 მან.

1870 წლის 21 აპრილს იმპერატორმა ნება დართო, რომ უკანასკნელი თანხიდან პეტერბურგში არსებული საექიმო ტანვარჯიშული საზოგადოებისთვის 1870-1871 სასწავლო წელს გადაეხადათ თანხა იმ 15 სტიპენდიატის მომზადების ანგარიშში, რომლებიც ამ საზოგადოებასთან ლექციებს ისმენდნენ ტანვარჯიშის თეორიასა და პრაქტიკაში. ესენი იყვნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო ინსტიტუტის სტუდენტები.

აღნიშნულ სასწავლო წელს, მართალაც, დაუშვეს 3.000 მან., მსმენელები კი გადავიდნენ მეორე ტანვარჯიშულ კურსზე. ამიტომაც საზოგადოება 1871-1872 სასწავლო წლისთვისაც ითხოვდა ამდენივე თანხის დაშვებას.

ამასთან განათლების სამინისტრომ, გადაწყვიტა საზოგადოების კურსებზე თხუთმეტ-თხუთმეტი სტიპენდიატი მანამ ჰყოლოდათ, ვიდრე ეს საჭიროდ ჩაითვლებოდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ტანვარჯიშის მასწავლებელთა კადრის მომზადებისთვის. საამისოდ ყოველწლიურად უნდა გაეღოთ 3.000 მან. იმ თანხიდან, რასაც სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა გაითვალისწინებდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ტანვარჯიშის მასწავლებელთა ხელფასებისთვის. ასეთი მსმენელები შეიძლებოდა გამხდარიყვნენ სხვა პირებიც, თუ კი სათანადოდ მოემზადებოდნენ.

იმპერატორმა ნება დართო, რომ ყოველწლიურად გადახდილიყო 3.000 მან. (ვიდრე საჭიროდ ჩაითვლებოდა), აგრეთვე დაუშვა 8.000 მან., რათა იმავე საექიმო-ტანვარჯიშულ საზოგადოებას უნივერსიტეტის შენობის ნაწილი გადაეკეთებინა ტანვარჯიშულ დარბაზად.

1872 წლის 12 აპრილს იმპერატორმა ნება დართო, რომ 1872-1877 წლებისთვის სტიპენდიატთა მომზადების ანგარიშში საზოგადოებისათვის გადაეხადათ ის 29.272 მან., რაც აუთვისებელი დარჩა ტანვარჯიშის მასწავლებლების ხელფასად დაშვებულ თანხებიდან. აუთვისებლობის მიზეზი იყო მასწავლებელთა სათანადო კადრის უქონლობა, რის შედეგადაც არ შეეძლოთ გიმნაზიებში „რაციონალურ საწყისებზე" საგნის შემოღება. ტანვარჯიშის შემოღება კი მიაჩნდათ განსაკუთრებულ და საჭირო საქმედ, რადგან იმ პერიოდში განზრახული იყო საყოველთაო სამხედრო სამსახურის (ბეგარის) შემოღება და მისი ყველა წოდების წარმომადგენლებზე გავრცელება.

### პეტერბურგის ტანვარჯიშული კურსები 1889-1892 წლებში

ტანვარჯიშის მასწავლებელთა ასე სახელდახელოდ მომზადების ღონისძიებამ, ცხადია, საქმეს ვერაფერი უშველა. ამიტომ იყო, რომ 1880-იანი წლების ბოლოსთვის მდგომარეობა ძველებურად სავალალო რჩებოდა.

ამ კურსების შესახებ დაწვრილებითი ცნობების შეკრება აუცილებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ბევრი ძიების შემდეგ მივაკვლიეთ ქუთაისელი იასონ გაბაშვილის მოწმობას პეტერბურგის დასახელებული ტანვარჯიშული კურსების დამთავრების შესახებ 1891 წელს. პეტერბურგის 1891 წლის ტანვარჯიშულ კურსებზე მეცნიერულ ლიტერატურაში მასალები არ არსებობს, პირიქით, ვიცით დ. კრადმანის ცნობა, რომ სამხედრო უწყების ინიციატივით 1890 წლის ზაფხულზე შეიქმნა „სამოქალაქო უწყების სასწავლებელთა ტანვარჯიშის მასწავლებლების მოსამზადებელი დროებითი კურსები, მაგრამ იარსება მხოლოდ ერთი ზაფხულს". ეს ცნობა, რასაც ჩვენ ადრე ეჭვმიუტანლად დავეყრდენით, ზუსტი არ აღმოჩნდა.

არქივში დაცული პირველწყაროების შესწავლამ გაარკვია, რომ აღნიშნული კურსები 1889 წელს გაიხსნა საცდელად, განათლების სამინისტროს უწყების ვაჟთა სასწავლებლებში სამხედრო ტანვარჯიშისა და მწყობრის შემოღებასთან დაკავშირებით. საცდელი კურსების შედეგებით კმაყოფილი დარჩნენ და კურსები კვლავ დააფინანსეს 1890, 1891 და 1892 წლებისთვის. სამივე დასახელებულ წელს კურსები ჩატარდა, ხელმძღვანელად მოიწვიეს შტაბს-კაპიტანი ტიუნეგოვი.

ტიუნეგოვის მიერ ხელმოწერილი გაკვეთილების ცხრილების მიხედვით, კურსზე 1889 წელს ტანვარჯიშის თეორიას ეთმობოდა კვირაში ორი ორსაათიანი გაკვეთილი, ფრონტს — ოთხი თითოსაათიანი გაკვეთილი, ტანვარჯიშს კი ორი საათნახევრიანი და ოთხი ნახევარსაათიანი გაკვეთილი.

1890 წელს თეორიას ეთმობოდა იგივე საათები, ფრონტს — ოთხი საათნახევრიანი, ტანვარჯიშს კი — ექვსი საათნახევრიანი გაკვეთილი კვირაში.

ცხადი ხდება, რომ ყურადღება გამახვილდა პრაქტიკული საგნების — სამწყობრო მომზადებისა და ტანვარჯიშის მიმართ. ეს გასაგებია, სამწყობრო მომზადებისთვის კვირაში 6 საათის დანიშვნა კი მიუთითებს კურსებისთვის მილიტარისტული დანიშნულების მინიჭებაზე.

ტანვარჯიშის დროებითი კურსები 1889 წელს 30 მსმენელზე იყო ნავარაუდევი. სახსრების სიმცირის მიზეზით, კურსები ვერც შემდგომ დაიკვეხნიდა მრავალრიცხოვნობას. ამის გამო, იგი საერთო მდგომარეობას დიდად ვერ გამოასწორებდა, მაგრამ კურსებმა მაინც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი რუსეთის იმპერიის სკოლებში სასკოლო ფიზიკური აღზრდის საგნის შემდგომ დანერგვასა და წარმატებაში. ცალკეულმა მსმენელებმა ადგილზე დაბრუნებისას თვითონაც გახსნეს მსგავსი კურსები (რამდენადმე მოგვიანებით ასევე მოიქცა იასონ გაბაშვილიც) და დიდი სამსახური გაუწიეს სასკოლო ფიზიკური აღზრდის შემდგომ წინსვლაგანვითარებას. 1890, 1891 და 1892 წლების კურსებისთვის გამოიცა დადგენილება: „სამოქალაქო სასწავლებლების სამხედრო ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებელი დროებითი კურსების შესანახი ყოველწლიური ხარჯების შესახებ, სამი წლის მანძილზე, დაწყებული 1890 წლიდან". ამ დადგენილების საფუძველზე კურსების ორგანიზაცია დაევალა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველს, იმ თანხის ანგარიშზე, რომელიც სამინისტროს მიერ უნდა გაცემულიყო ტანვარჯიშის მასწავლებლების ხელფასად და, რაც აუთვისებელი დარჩა სასწავლებლებში ასეთი მასწავლებლების უქონლობის გამო. კურსების ორგანიზაციული მხარე კარგად ჩანს იმ განცხადებებში, რომლებიც იმავე მზრუნველმა გამოაქვეყნა.

მაგალითად, 1890 წელს ერთ-ერთი ასეთი განცხადება მსურველებს აუწყებდა, რომ 15 ივნისიდან 1 სექტემბრამდე იხსნებოდა დროებითი კურსები საშუალო და საქალაქო სასწავლებლების ტანვარჯიშისა და სამწყობრო სწავლების მასწავლებლების მოსამზადებლად. ტანვარჯიშის მასწავლებლობა სკოლებში უნდა შეთავსებოდა რომელიმე საგნის მასწავლებლობას ან სხვა რაიმე თანამდებობას.

კურსებზე ღებულობდნენ 20-დან 30 წლამდე ასაკის ჯანმრთელ პირებს.

მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებანი საკმარისი არ აღმოჩნდა. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველი იძულებული გახდა ცალკეული სასწავლებლების უფროსებისთვის ეცნობებინა და დაევალებინა დროებითი კურსებისათვის მსმენელების შერჩევა.

ამაზე უნდა მიუთითებდეს, მაგალითად, ჩერეპოვეცის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის 1890 წლის 20 ივნისის № 162 პასუხი მზრუნველის 8 ივნისის № 5619 მიმართვაზე — რომ ამ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან დასახელებულ წელს ტანვარჯიშის კურსებზე შესვლის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისი იყო. მან კურსების მოწყობას და ჩატარებას ხელი ვერ შეუშალა. როგორც უკვე აღინიშნა, 1889—1892 წლებში კურსები ოთხჯერ ზედიზედ მოეწყო. ამას, მიუხედავად კურსების მილიტარისტული დანიშნულებისა, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან მაინც საგრძნობლად წასწია წინ სკოლებისთვის ფიზიკური აღზრდის, თუნდაც სამხედრო ტანვარჯიშის მასწავლებელთა მომზადების საქმე.

ამით ვამთავრებთ რუსეთის იმპერიის სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორიის იმ ძირითად საკვანძო საკითხებზე საუბარს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შესაბამისი ისტორიის ანალოგიური საკითხების შესწავლისათვის.

აქვე მოვიყვანთ რუსეთის იმპერიაში, სასკოლო ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემის განვითარების ისტორიის სავარაუდო პერიოდიზაციის სქემა, რომელიც შევადგინეთ უმთავრესად ზემომოტანილ ახლად გამოვლენილ ცნობებსა და მასალებზე დაყრდნობით, აგრეთვე, არსებული მეცნიერული ლიტერატურისთვის ანგარიშის გაწევის საფუძველზე:

1. ფიზიკური აღზრდა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში XVIII ს. I ნახევარში; 2. ფიზიკური აღზრდა XVIII ს. 50-იანი წლებიდან — 1804 წლამდე; 3. ფიზიკური აღზრდა 1804—1825 წლებში (დეკაბრისტების აჯანყებამდე); 4. ფიზიკური აღზრდა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში XIX ს. მეორე მეოთხედში (1849 წლამდე); 5. ფიზიკური აღზრდის შეწყვეტა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში, სამხედრო მეცნიერებებისა და სამხედრო ეგზერციციების შემოღება (1849—1856 წლები); 6. რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში სამხედრო მეცნიერებებისა და სამხედრო ეგზერციციების სწავლების გაუქმება და სასკოლო ფიზიკური აღზრდის თანდათანობით აღდგენა (1856—1860-იანი წლები); 7. ფიზიკური აღზრდა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში მთავრობის ხელისუფლებრივი რეაქციის პერიოდში (1870-იანი წლები — 1880-იანი წლების პირველი ნახევარი); 8. ფიზიკური აღზრდა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სკოლებში XIX ს. ბოლოს (1880-იანი წლების II ნახევარი—1900 წ.); 9. ფიზიკური აღზრდა რუსეთის სამოქალაქო სკოლებში XX ს. დასაწყისიდან — ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე (1901—1917 წწ.).

ეს პერიოდიზაცია ნაწილობრივად მისაღებია რევოლუციამდელი საქართველოს სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორიისთვისაც, რა თქმა უნდა, XVIII ს. გამოკლებით (ამასთან, დასაშვებია და მიზანშეწონილია მე-3, მე-4, მე-5 და ნაწილობრივ მე-6 პერიოდების ერთ პერიოდად გაერთიანება) და 1917—1921 წლების სასკოლო ფიზიკური აღზრდის ისტორიის დამატებით.

ზემოთ მოყვანილი პერიოდიზაცია საგრძნობლად განსხვავდება „ფიზიკური კულტურის ისტორიის" სახელმძღვანელოთა ცალკეული ავტორების მიერ მოცემული საერთო პერიოდიზაციისგან.

ეს განსხვავება გამოწვეულია, ერთის მხრივ იმით, რომ საკითხს ვუდგებით განსხვავებული თვალსაზრისითა და შეხედულებით. მეორეს მხრივ, ახალი ცნობებისა და მასალების გამოვლინამ შესაძლებელი გახადა ახალი, მანამდე უცნობი პერიოდების გამოვლენა და დადგენაც, რითაც გაიხსნა და დადგინდა მრავალი საკვანძო საკითხი.

ყველა შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო სკოლების ფიზიკური აღზრდის პერიოდიზაციას, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს პერიოდიზაცია სავსებით შეიძლება გავრცელდეს ფიზიკური აღზრდის საერთო პერიოდიზაციაზეც მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით.

**ზ. შერაზადიშვილი,**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

---

დასასრული. იხ. გაზ. „ლელო", 1969, №№ 177, 227, 1970, №№ 80, 168.

• • •

**შენიშვნა:** მეოთხე წერილში მეოთხე სვეტის 80-ე სტრიქონში უნდა ეწეროს „1855 წლის", ბოლო წერილის ბოლო აბზაცში ნაცვლად „გაუმჯობესებისა" — „გაუქმების".

---

[illegible]

### ✦ წითელი წყარო

ახლახან აქ გაიმართა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ძალოსნობასა და ფრენბურთში. ძალოსნობაში I ადგილი მოიპოვა წითელი წყაროს „ვარსკვლავის" გუნდმა. ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებში უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა.

**გ. კაკალაშვილი.**

### ✦ საჩხერე

შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლაში კარგი კომპლექსური საზაფხულო სპორტული ბაზა აქვთ. რაც შეეხება სპორტდარბაზს, იგი საფუძვლიან რეკონსტრუქციას მოითხოვს. სამწუხაროდ, ადგილობრივი განათლების განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო ამ საქმისათვის საჭირო თანხების გამოყოფა.

**ა. ანასაშვილი.**

---

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

„... 1935 წლის ზაფხულში, ყაზბეგის რაიონში დაიღუპა თვითმფრინავი. ერთ თვეზე მეტ ხანს წარმოებდა მისი ძებნა ალპინისტების მონაწილეობის გარეშე, მაგრამ იგი ვერსად ვერ აღმოაჩინეს. და ბოლოს ძებნის ორგანიზაცია ალპინისტებს დაევალა. შეიქმნა 6 ჯგუფი: სამ ჯგუფს ძებნა უნდა ეწარმოებინა მდინარე არაგვის სათავეებში (ხელმძღვანელები ი. მარი, დ. ფურცელაძე, ზ. მამამთავრიშვილი), მეოთხე ჯგუფს —სნოს ხეობაში (ხელმძღვანელი ს. ალანიშვილი), მეხუთე ჯგუფს — ხდეს ხეობასა და მდინარე ჯუთას სათავეებში (ხელმძღვანელი გ. ზაქრაძე) და მეექვსე ჯგუფს—მწვერვალ ყაზბეგისა და აბანოს, გერგეტის, დენკარის, მნასა და სხვა მყინვარების რაიონებში (ხელმძღვანელი ალექსანდრა ჯაფარიძე). თვითმფრინავი აღმოჩენილი იქნა მდინარე სნოს ერთ-ერთი გვერდითი შენაკადის სათავეებში, ამ საქმის ალპინისტებისათვის მინდობიდან მე-5 დღესვე ს. ალანიშვილისა და გ. ზაქრაძის ჯგუფების მიერ. ასვლა მოახდინა მხოლოდ ერთმა — ალექსანდრა ჯაფარიძის ჯგუფმა მწვერვალ ორწვერზე, რომელიც კარგ საზვერავ პუნქტს წარმოადგენს მთელი რაიონისთვის".

ეს სტრიქონები საბჭოთა ალპინიზმის უკვე ისტორიად ქცეული ფურცლებიდან არის ამოწერილი. იგი შემოგვინახა ცნობილი ქართველი მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის არქივმა, რომელსაც შემდეგ მისი „რჩეული ნაწერების" მოზრდილ ტომში დაედო ბინა...

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შემონახული გვაქვს მეორე საინტერესო დოკუმენტიც, რომელიც დღემდე უცნობია და პირველად ქვეყნდება...

... დაღუპული თვითმფრინავის აღმოჩენის შემდეგ მთამსვლელები ყაზბეგში დაბრუნდნენ, რათა დაესვენათ და მეორე დილით თბილისისკენ გამომგზავრებულიყვნენ.

ყაზბეგის ცენტრში თავმოყრილ მთამსვლელთა ჯგუფს ორი კაცი მიუახლოვდა. მათ ს. ალანიშვილს მიულოცეს ექსპედიციის წარმატებით დამთავრება, მშვიდობიანად დაბრუნება და მოისურვეს გაეცნოთ პირველი საბჭოთა მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე. ერთი მათგანი ცნობილი ქართველი მოეტი ტიციან ტაბიძე გახლდათ, რომელიც ექსპედიციის უფროსს ადრევე იცნობდა. მისი თანამგზავრი კი ასევე ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ გოლცევი იყო. ისინი რამდენიმე დღე ყაზბეგში ყოფილან. ტიციანი აღტაცებული იყო ქართველი მთამსვლელი ქალის სიმამაცით.

## შეხვედრა ყაზბეგში

ეს სამახსოვრო სურათიც თვით სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრა ჯაფარიძემ გადაიღო ყაზბეგის ცენტრალურ მოედანზე, ექსპედიციის გამომგზავრების წინ. დილით ადრე ექსპედიცია თბილისისკენ გამოემგზავრა. საუბარი გზაშიც გრძელდებოდა. მანქანაში ისხდნენ ტიციანი, ალექსანდრა და სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი თანამშრომელი. კარგა ხანს მოჩანდა ღრუბლებს ზევით ამოწვერილი ყაზბეგის თოვლიანი მწვერვალი... უკან დარჩა სოფელი კობი, ნარზანის წყლებით შეფერადებული კლდეები, ჯვრის უღელტეხილი, გუდაური, მლეთი...

ექსპედიციის წევრები ფასანაურში შეჩერდნენ. სადილზე საპატიო სტუმრად იყო ტიციანიც. მან პოეტურ სადღეგრძელოში კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა მამაცთა სპორტის ქართველი ენთუზიასტებისადმი და განსაკუთრებულად შეაქო ქართველი ქალის სიმამაცე. ალექსანდრას მან „ყინულების დედოფალი" უწოდა.

ალბათ იმ დღეთა შთაბეჭდილებებმა დააწერინა პოეტს ლექსი, რომელიც ტიციან ტაბიძის ნაწარმოებთა პირველ ტომში 1936 წლითაა დათარიღებული:

„შემოუფშვნია, შემოუდნია
ყაზბეგს სპეტაკი თოვლის
ხუნდები,
ეხმის მყინვარის მწვერვალთა
ფიცი:
„კვლავ წიაღვარად
დაგიბრუნდები..."

**ს. ჯაფარიძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** მარცხნიდან — ს. გვალია, ტ. ტაბიძე, ს. ალანიშვილი, ვ. გოლცევი და ექსპედიციის ექიმი ა. აბაშიძე.



---

## ზონალურზე...

ქუთაისის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური პირველობა, რომელშიც დასავლეთ საქართველოს 9 კოლექტივი მონაწილეობდა.

საერთო გუნდური გამარჯვება ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის გუნდმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ნაკრები, III — № 1 სამკერვალო გაერთიანების ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკა.

**შ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ.).
ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1970 ფეხბურთი

### მატჩები, გოლები, ქულები

24 ოქტომბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

ძალზე საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა მატჩი ბაქოში, სადაც ადგილობრივი „ნეფთჩი" მასპინძლობდა მოსკოვის „დინამოს". დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს თავიანთთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი თამაში და გაიმარჯვეს — 2:0. ანგარიში 41-ე წუთზე გახსნა ევრიუჟიხინმა და ზუსტად 41-ე წუთზე, მაგრამ უკვე მეორე ტაიმში, სიომინმა მეორედ აიღო ბაქოელთა კარი — 2:0.

გათამაშების მეორე ლიდერმა — ცსკა-მ ასეთივე ანგარიშით მოუგო ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცს". მასპინძელთა კარში ორივე ბურთი I ტაიმში გაიტანა კოპეიკინმა.

კიევში თამაშობდნენ ადგილობრივი და მინსკის დინამოელები. მინსკელთა კარში ბიშოვეცის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 1:0.

გადაუღებელ წვიმაში მიმდინარეობდა შეხვედრა მოსკოვში „ტორპედოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა, რომელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გერშკოვიჩმა ორჯერ აიღო „ზენიტის" კარი. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ბულავინი. აღსანიშნავია, რომ ტორპედოელთა კაპიტანმა შუსტიკოვმა ამ დღეს 367-ე მატჩი ჩაატარა თავისი გუნდის შემადგენლობაში სსრ კავშირის ჩემპიონატებში. შუსტიკოვის შემდეგ მატჩში მოიხსნება ი. ნეტოს რეკორდი, რომელიც მას დიდი ხნის მანძილზე ეკუთვნოდა.

აუტსაიდერთა ჯგუფში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ტაშკენტის მატჩი ადგილობრივ „ფახთაქორსა" და „არარატს" შორის. ანგარიში გახსნა ტაშკენტელმა ისაკოვმა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი „არარატის" მცველმა მესროპიანმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. ერევნელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ შეძლეს მხოლოდ 1 საპასუხო ბურთის გატანა (ანდრიასოვი) — 1:2.

დაბოლოს, როსტოვის არმიელთა შეხვედრაში ორჯონიკიძის „სპარტაკთან" ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

უმაღლესი ლიგის სნაიპერთა სიას ლიდერობს თბილისის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია — 16 გოლი. მას 2 ბურთით ჩამორჩება მოსკოვის დინამოელი ვ. კოზლოვი.

სსრ კავშირის პირველობა

# მსაჯის აქტიური მხარდაჭერით...

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 24 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 0:0.

„დინამო": სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (მაჩაიძე), პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ზარია": ტკაჩენკო, შულეჟკო, ჟურავლიოვი, პინჩუკი, ვასენინი, ფომენკო, კუზნეცოვი, სემიონოვი, ლისაკოვსკი (ელისეევი), კუკსოვი, ფურსოვი.

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვი).

ყოველ საფეხბურთო სეზონს, ყოველ საკავშირო ჩემპიონატს ჰყავს სიურპრიზის მომტანი გუნდები. ეს ის კოლექტივებია, რომლებისგანაც არავინ მოელის წარმატებას, ისინი კი, ყველასათვის მოულოდნელად „ციდან ვარსკვლავების წყვეტას" იწყებენ და მაღალ ადგილებს იკავებენ. შარშან ასეთი იყო ოდესის „ჩერნომორეცი", ადრე — მინსკის „დინამო", ერევნის „არარატი", ბაქოს „ნეფთჩი", დონეცკის „შახტიორი", ტაშკენტის „ფახთაქორი" და სხვანი.

წლეულს რიგი ვოროშილოვგრადის „ზარიაზე" მიდგა. ეს საშუალო რანგის გუნდი, ყველასათვის მოულოდნელად, ცხრილის ზემო ნახევარში აღმოჩნდა და ახლა, გათამაშების დასასრულს, რეალური შანსები აქვს მოხვდეს პირველ ხუთეულში, სწორედ იქ სადაც თბილისის „დინამოა". ამდენად, მატჩს ამ ორ გუნდს შორის პრინციპული ხასიათი ჰქონდა. გამარჯვება ერთ-ერთ მათგანს საგრძნობ უპირატესობას აძლევდა მეორეზე.

„ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში 4 წლის გამოსვლების მანძილზე „ზარიას" არც ერთხელ არ მოუგია თბილისელთათვის. ამ მდგომარეობას გარკვეული ფსიქოლოგიური წინამძღვარი უნდა შეექმნა ჩვენი გუნდისთვის, რათა გამარჯვებისთვის ებრძოლა. მაგრამ ამას გარდა დინამოელებს ისიც უნდა ახსოვდათ, რომ 10 სექტემბრის შემდეგ ჩატარებულ 7 მატჩში ვოროშილოვგრადელებს გატანილი ჰქონდათ სულ 2 ბურთი, ე. ი. გუნდი ძირითადად ნულიანი ფრედ დამთავრებული შეხვედრების ხარჯზე აგროვებდა ქულებს და თბილისშიც დაცვით ფეხბურთს ითამაშებდა 1 ქულის აღების იმედით.

ასეც მოხდა. სტუმრებმა თავიდანვე საიმედოდ გაამაგრეს დაცვის ხაზები და არ მისცეს მეტოქეს შეტევის გაშლის საშუალება. დინამოელებმა ადრევე ვერ გამოიჩინეს საჭირო აქტიურობა, არ აგრძნობინეს მოპირდაპირეს თავიანთი აგრესიული განწყობილება და, თუმცა, პირველი ტაიმი საერთო ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარეს, ფაქტიურად არ შეუქმნიათ საგოლე მომენტი. ეს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა „ზარიას", რომელიც იშვიათად, მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ახორციელებდა კონტრიერიშებს და დანარჩენ დროს შუა მინდორში მოქმედებდა.

„დინამომ" მნიშვნელოვნად გარდაქმნა თამაში შესვენების შემდეგ. გუნდი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და 45 წუთი თითქმის მთლიანად მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე გაატარა, მაგრამ გოლის გატანა ვერა და ვერ შეძლო. „ზარიას" კართან უამრავი კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, მეკარე ტკაჩენკოს ბევრი ძნელი ბურთის აღება მოუხდა, შეტევა შეტევას მოსდევდა, გოლი კი არ იქნა გატანილი. ჩვენი თავდამსხმელები და ნახევარმცველები იმაში არიან დამნაშავენი, რომ იერიშს შეჯგუფულად, ქაოტურად აწარმოებდნენ, მოწინააღმდეგის დაცვაში არ ეძებდნენ სუსტ ადგილებს, უზუსტოდ ურტყამდნენ კარში.

„ზარიამ", რასაკვირველია, დიდ წარმატებას მიაღწია ამ ერთი ქულის აღებით, მაგრამ მის მოპოვებაში მხოლოდ იმ 12 მოთამაშეს არ მიუძღვის ღვაწლი, რომლებიც ამ დღეს მინდორზე გამოვიდნენ. ვოროშილოვგრადელებს დიდად შეუწყო ხელი... მსაჯმაც. დიახ, დიახ, მსაჯმა, ი. მეილახშტეინმა, რომელიც ამ დღეს საოცრად სუსტად, უსუსურად, უვიცად სჯიდა და თავისი არაკვალიფიციური, არაობიექტური გადაწყვეტილებებით აშკარად ხელს უშლიდა დინამოელთა თამაშს.

პირველი უხეში შეცდომა ი. მეილახშტეინმა დაუშვა მე-5 წუთზე. სტუმრების ცენტრალური თავდამსხმელი ლისაკოვსკი დინამოელთა კარის წინ აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეილახშტეინმა მყისვე მიიღო გვერდითი მსაჯის ნიშანი, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის და მასპინძლები მხოლოდ იღბლად, ფორვარდის არაზუსტი დარტყმის წყალობით გადაურჩნენ ხიფათს. ლისაკოვსკის რომ გამოეყენებინა ეს მომენტი, არბიტრი ჩათვლიდა ამ უკანონო გოლს.

ამის შემდეგ, მთელი მატჩის მსვლელობაში მეილახშტეინი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. „ზარიას" საჯარიმო მოედანზე ორჯერ იყო წესის აშკარა დარღვევა. სტუმრებს დაუფარავად გაჰყავდათ დრო, მსაჯის თვალწინ, დემონსტრაციულად ქვენწლავდნენ ბურთს ან შორს აგდებდნენ მას საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების შესრულებისას. მსაჯი კი უყურადღებოდ ტოვებდა ამას. ამას გარდა, დამნაშავის სასარგებლოდ სტვენას ბოლო არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, ი. მეილახშტეინმა გააფუჭა თამაში, მაყურებელთა კანონიერი გულისწყრომა დაიმსახურა და გამსინჯავი კომისიისაგან „ორიანი" მიიღო.

ფეხბურთის მოყვარულებს ემახსოვრებათ წლევანდელი გათამაშების მატჩი 8 აპრილს „ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის, რომელიც ასევე არაობიექტურად, სუსტად იმსაჯა რიგელმა ქ. სტრენცისმა. ქ. სტრენცისის მიმართ მიღებულ იქნა სათანადო სანქცია და მას მერე უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩებში იგი მინდორზე აღარავის უნახავს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ასეთივე სასჯელს მიიღებს ი. მეილახშტეინიც. ამას იგი იმსახურებს.

რ. ქორიძე.

უმაღლესი ჯგუფი „ა" კლასი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 30 | 17 | 7 | 6 | 45—20 | 41 |
| ცსკა | 29 | 17 | 5 | 7 | 42—17 | 39 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 29 | 12 | 13 | 4 | 43—23 | 37 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 31 | 10 | 14 | 7 | 27—24 | 34 |
| „დინამო" (კიევი) | 31 | 14 | 5 | 12 | 34—29 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 12 | 8 | 9 | 40—28 | 32 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 30 | 11 | 10 | 9 | 31—32 | 32 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 30 | 8 | 15 | 7 | 26—26 | 31 |
| „დინამო" (მინსკი) | 30 | 10 | 10 | 10 | 31—26 | 30 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 29 | 8 | 11 | 10 | 23—22 | 27 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 29 | 10 | 7 | 12 | 31—47 | 27 |
| „არარატი" (ერევანი) | 29 | 9 | 8 | 12 | 26—31 | 26 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 30 | 7 | 12 | 11 | 23—43 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 30 | 9 | 7 | 14 | 28—39 | 25 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 30 | 6 | 11 | 13 | 22—34 | 23 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 30 | 7 | 9 | 14 | 23—37 | 23 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 30 | 6 | 8 | 16 | 29—46 | 20 |

## მოკლე ამბები

● ქუთაისი, 25 ოქტომბერი. სოფელ ტვიშის მახლობლად, რიონზე გაიმართა პირველი საკავშირო შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოებით სლალომში. ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის 80 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. 800-მეტრიან ტრასაზე მონაწილეთ 28 კარი უნდა გაევლოთ, მათგან 8 — დინების საწინააღმდეგოდ. პირველი დღის შემდეგ ქალებში დაწინაურდა რიგელი ბ. ჰერცბერგი, მაგრამ ლიდერობა ვერ შეინარჩუნა. მეორე დღეს ტ. ვორობიოვამ იმარჯვა და პირველობაც დაისაკუთრა. ვაჟთა შორის როგორც ერთადგილიანი, ისე ორადგილიანი ბაიდარებითა და კანოებით ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა ა. შკოლნიკოვმა, ვ. ტაბაჩნიკოვმა, ვ. ლიუტვინსკიმ და ა. ჟუკოვმა.

● ტალინი, 25 ოქტომბერი. აქ გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში, რომელშიც მხოლოდ მოცეკვავე წყვილები ასპარეზობდნენ. მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ყაზახეთის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლები. პირველობა მოიხვეჭეს ს. ბაკინამ და ბ. რუბლიოვმა (კიროვი) — 244,6 ქულა. II ადგილი წილად ხვდათ ნ. ვორობიოვასა და ვ. მაკრაევს (კიევი) — 242,2, III — ე. ვოლკოვასა და ვ. ბაბოშინს (მოსკოვის ოლქი) — 235,9.

● ციურუპინსკი (უკრაინა), 25 ოქტომბერი. საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსში 500 მძლეოსანი მონაწილეობდა. გუნდური I ადგილი დაიკავეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. II ადგილზე არიან უკრაინის, III — ბელორუსიის გუნდები. ცალკეულ დისტანციებზე გაიმარჯვეს: სვერდლოვსკელმა ნ. გაიმატოვამ (2000 მ), კიეველმა გ. ტოლსტიხმა (1000 მ), მოსკოველებმა — ი. ალექსაშინმა (8000 მ), ვ. სელეზნიოვმა (3000 მ) და ვ. ჩერნიავმა (5000 მ).

● ვენა, 25 ოქტომბერი. მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის გათამაშებაში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სსრ კავშირის გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა (ს. გრინბერგი, ს. გომოზკოვი, გ. სტრელნიკოვი) — 7:0.

● სოჩი, 26 ოქტომბერი. დიდოსტატთა და ოსტატთა ორთაბრძოლაში ლიდერების — დიდოსტატ მ. ტალისა და ოსტატ ვ. ტუკმაკოვის პარტიაში გაიმარჯვა პირველმა. მაგრამ შემდეგ ვერც ტალი გადაურჩა დამარცხებას. უკვე მომდევნო ტურში მას კუპრეიჩიკმა მოუგო. ეს ტალის პირველი წაგებაა ამ ტურნირში.

# პირველი დაკარგული ქულა

მოსკოვი, 26 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი წრე.

ცსკა-ს აუზში პირველივე შეხვედრა დიდი ანგარიშით აღინიშნა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელებმა პირდაპირ გაანადგურეს მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივი" — 12:1.

თბილისის „დინამოს" სპორტსმენებმა ალმაცლობით ითამაშეს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის წარმომადგენლებთან და გაიმარჯვეს — 6:3.

ამ ჩემპიონატში კარგად თამაშობენ ალმა-ათის დინამოელები, მაგრამ მათი დებიუტი დედაქალაქში წარუმატებელი გამოდგა. ალმაათელებმა წააგეს ადგილობრივ „ტორპედოსთან" — 4:5.

უკვე მომდევნო შეხვედრა აუზში პირველი სენსაციის მიზეზი გახდა. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერებმა — მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებმა პირველი ქულა დაკარგეს. მათ ფრედ დაამთავრეს მატჩი კიეველ თანაკლუბელებთან — 3:3.

ამ დღის ბოლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ბალტიკის" გუნდები. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 5:3.

დღეს თბილისის დინამოელთა მეტოქე იქნება სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 14 | 13 | 1 | 0 | 63—32 | 27 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) | 14 | 12 | 1 | 1 | 75—36 | 25 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 14 | 9 | 3 | 2 | 72—50 | 21 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 14 | 6 | 1 | 7 | 66—65 | 13 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 14 | 4 | 5 | 5 | 59—69 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 5 | 2 | 7 | 57—62 | 12 |
| „დინამო" (კიევი) | 14 | 3 | 6 | 5 | 50—56 | 12 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 14 | 4 | 1 | 9 | 59—62 | 9 |
| წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (ბაქო) | 14 | 2 | 3 | 9 | 58—74 | 7 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) | 14 | 0 | 1 | 13 | 36—89 | 1 |

# თბილისელები IV ადგილზე

გლაზოვი, 26 ოქტომბერი. გუშინ აქ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა IX საკავშირო ჩემპიონატი. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს და 26 ოქტომბერს ლინცში (ავსტრია) შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა ადგილობრივ „უნიონთან". ამიტომ თბილისის „ბურევესტნიკთან" მოსკოველებმა 24 ოქტომბრის ნაცვლად 23 ოქტომბერს გამართეს მატჩი. ეს შეხვედრა მდიდარი იყო დრამატული მომენტებით და დამთავრდა ფრედ — 27:27. ამ მატჩში ცერცვაძემ 12 გოლი გაიტანა. მოსკოველ სტუდენტებს კიდევ ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი (მოსკოვის „კუნცევოსთან"), მაგრამ ეს შეხვედრა მოგვიანებით მოსკოვში შედგება. ამ მატჩის შედეგი უკვე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საპრიზო ადგილების განაწილებაზე.

მაშ ასე, სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ მოსკოვის „კუნცევოს", ბრინჯაოსი — კრასნოდარის „უნივერსიტეტის" მოთამაშეებს.

24 ოქტომბერს გაიმართა მეექვსე — ბოლოსწინა ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „სტრაუმე" (რიგა) — ცსკა 13:18, „კუნცევო" — ზმეტი 19:24, „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 14:14.

გუშინ შედგა ბოლო ტურის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა" „ალუმინსტროისთან" შეხვედრაში ფრეს მიაღწია — 19:19 და გათამაშების ცხრილში IV ადგილი დაიკავა. ზმეტი-მ დაამარცხა „სტრაუმე" — 28:23. თბილისელთა მსგავსად, ზმეტიმაც 26 ქულა დააგროვა, მაგრამ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი თბილისელებს აქვთ და ამიტომ მათი მეტოქე V ადგილს დასჯერდა. ფრე აღინიშნა (21:21) კრასნოდარის „ბურევესტნიკისა" და ცსკა-ს მატჩში. „ა" კლასი დატოვა რიგის „სტრაუმემ", რომელმაც გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილი დაიკავა.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 27 | 19 | 5 | 3 | 43 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 27 | 17 | 4 | 6 | 38 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 28 | 15 | 7 | 6 | 37 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 28 | 9 | 8 | 11 | 26 |
| ზმეტი | 28 | 12 | 2 | 14 | 26 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 28 | 8 | 6 | 14 | 22 |
| ცსკა | 28 | 6 | 6 | 16 | 18 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 28 | 5 | 2 | 21 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნის თარო

# „გამარჯვების უმცროსი დები“

მწერალსა და ჟურნალისტს ალექსანდრე კიკნაძეს კარგად იცნობს მკითხველი. სპორტულ თემაზე დაწერილი მისი ნარკვევები მუდამ სიამოვნებით იკითხება. ყურადღება მიიქცია ა. კიკნაძის ნარკვევების კრებულმაც — „გამარჯვების უმცროსი დები“, რომელიც ქართულ ენაზე გამოსცა „ნაკადულმა.“

წიგნის ხუთივე განყოფილების საერთო სათაურებიც კი მეტყველებენ, რომ ავტორი საინტერესო თემებს შეხებია. „გამომცდელია ოლიმპიადა“, „რა არის სპორტი-მოდერნი“, „ფიქრები საფეხბურთო თემებზე“, „ორი იეროგლიფი და ორი მარცვალი“, „გრენობლი, მეხიკო, 1968...“. წიგნში შეტანილია ა. კიკნაძის 39 საუკეთესო ნარკვევი.

ავტორი მოგვითხრობს უმთავრესად საკუთარი თვალით ნანახ და განცდილ ამბებზე, მოგვითხრობს საინტერესოდ, მიმზიდველად.

ერთ-ერთ ნარკვევში ა. კიკნაძე წერს: „ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების შარაგზაზე დღეს მარტო სპორტი როდი გამოდის, მის მხარდამხარ მოაბიჯებს საპატარძლოდ მორთული ქალწული ფსიქოლოგია, რომელსაც ღირსეულ ვაჟკაცთა მთელი ამალა შოაცილებს“. წიგნში შესულ ნარკვევთა უმეტესობაც სწორედ სპორტის ფსიქოლოგიის მეტად რთულ და საჭირბოროტო საკითხებს ეძღვნება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება დღეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს.

ამ საკითხით დაინტერესებული მწვრთნელები ბევრ საყურადღებო მასალას ნახავენ ა. კიკნაძის წიგნში.

წიგნში საუბარია ბევრ ქართველ სპორტსმენზეც. აქ წაიკითხავთ მაღალი ოსტატობით დაწერილ ნარკვევებს ნ. გაფრინდაშვილის, რ. რურუას, ნ. ხოხაშვილის, ა. კიკნაძის, ო. ეგაძის, დ. იოსელიანის, ვ. სანეევის, გ. ახვლედიანის, აგრეთვე, სხვა გამოჩენილი სპორტსმენების სპორტული გზის შესახებ. ამდენად, გარდა იმისა, რომ წიგნი სპორტის ისტორიკოსებისთვისაც საინტერესო შენაძენია, მას დიდი აღმზრდელობითი როლის შესრულებაც შეუძლია. ავტორი ნორჩ სპორტსმენებს აჩვევს „კარგისა და ცუდის“ გარჩევას სპორტში, ასწავლის ხალხისადმი, აღმზრდელი ქვეყნისადმი ერთგულებას.

„გამარჯვების უმცროსი დები“ საუცხოო ქართულითაა დაწერილი, რაშიც ავტორს დიდი დახმარება აღმოუჩინა მისმა მეგობარმა, ქართველმა პოეტმა ზ. ბოლქვაძემ. უდავოდ მადლობის ღირსია გამომცემლობა „ნაკადული“, რომელმაც სპორტულ თემაზე გამოცემულ მრავალ წიგნსა და ბროშურას ა. კიკნაძის ეს კარგი წიგნიც მიუმატა.

**ა. ციბაძე,**
ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



# გოლო ჩემპიონი

**დუშანბე, 26 ოქტომბერი.** გუშინ აქ დამთავრდა სამბისტთა საკავშირო პირადი ჩემპიონატი. შეჯიბრების ბოლო დღეს ურთიერთობას არკვევდნენ ქვემძიმე წონის ათლეტები. ჩემპიონის ტიტული პირველად დაისაკუთრა კიშინიოველმა ინჟინერმა ვ. უსიკმა. აღსანიშნავია, რომ იგი 7-ჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი და ამ ხნის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ფინალში უსიკმა დიდი გაჭირვებით სძლია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს ნ. ექვთიმიშვილს.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღით ადრე კომუნარსკში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს: თბილისელებმა შ. ფიცხელაურმა, გ. ონაშვილმა, ხარკოველმა ა. ნოვიკოვმა, მოსკოველებმა ა. ციუპაჩენკომ და ე. სოლოდუხინმა. დუშანბეში ამ ხუთეულს დაემატნენ ომსკელი ა. ხოში, მოსკოველი კ. რომანოვსკი, თბილისელი ფ. მარტყოფლიშვილი და ორი კიშინიოველი ათლეტი — ვ. შარკანსკი და ვ. უსიკი.

ამრიგად, ოთხმა შარშანდელმა ჩემპიონმა — ხოშმა, ციუპაჩენკომ, რომანოვსკიმ და სოლოდუხინმა შეინარჩუნა უძლიერესის ტიტული. ჩემპიონატი წლეულს პირველად ჩატარდა ახალი სისტემით — ყოველ წონით კატეგორიაში ოქროს მედლისთვის ბრძოლა ერთ დღეში მთავრდებოდა.

# ტელეფეხბურთი მაყურებლებს იკრებს

ინგლისში ყველაზე პოპულარული სპორტი ფეხბურთი ტელემაყურებლებშიც დიდი სიყვარულით სარგებლობს. გულშემატკივრები სულ უფრო ხშირად ამჯობინებენ სავარძლებს სტადიონის მერხებს. ასეთი დასკვნა გააკეთა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ, როცა ქვეყნის მოსახლეობაში (მხოლოდ მამაკაცებში) გამოკითხვა მოაწყო. ყოველი 100 კაციდან 93-მა თქვა, რომ ფეხბურთის მატჩებს რეგულარულად უყურებს, 28 კაცი სტადიონზე სეზონში ერთხელ დადის, მხოლოდ 10 კაცს ჰქონდა ნანახი 10 მატჩზე მეტი საფეხბურთო სტადიონზე.

რატომ მოხდა, რომ ინგლისელების ეროვნული თამაში მხოლოდ საინტერესო ტელეგადაცემებად იქცა?

უკვე ბევრჯერ დაიწერა დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე მომხდარი ხულიგნური ინციდენტების შესახებ. ასიდან 42 კაცმა თქვა, სტადიონზე გულშემატკივართა ხულიგნობის გამო არ დავდივართო. 18 კაცი ფეხბურთზე მხოლოდ თავისი საყვარელი გუნდის საქომაგოდ დადის. მხოლოდ 25 კაცმა განაცხადა, სტადიონზე ფეხბურთის სიყვარულით დავდივართო. 8 კაცი თურმე მხოლოდ იმიტომ ამჯობინებს სტადიონზე სიარულს, რომ სუფთა ჰაერი ჩაყლაპოს. ყოველი მეასე კაცი ამბობს: თვითონაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდები ხოლმე ფეხბურთზეო.

რა სურთ გულშემატკივრებს? პირველ ყოვლისა, სტადიონების რეკონსტრუქცია, რადგან ადგილების უმეტესობა ფეხზე სადგომია და გადახურულიც არ არის. მეორე ადგილზეა უფრო კორექტული თამაშის, მეტი გოლისა და უკეთესი არბიტრების ნახვის სურვილი.

და მაინც, საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელებს ოპტიმიზმის საფუძველი აქვთ: განვლილ სეზონში 10-15 წლის ბიჭებმა ფეხბურთის ბილეთებისთვის დახარჯეს 3,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე კინოს ბილეთებისთვის და სამჯერ მეტი — ვიდრე პოპულარული სიმღერების ფირფიტებისთვის დახარჯული თანხა.



△ **რანკატი.** მარათონში შვეიცარიის ჩემპიონი გახდა ვეტერანი ა. შპენგლერი, რომელმაც 42 კმ 195 მ 2:22.22,2-ში გაირბინა. ეს შედეგი შვეიცარიის ახალი მიღწევაა.

**როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19.45**

◆ **ფენიქსი,** 26 ოქტომბერი. ოქროს 6 მედალი მოიხვეჭეს საბჭოთა მსროლელებმა აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. ლ. კორჩინსკაია პირველი იყო მრგვალ სტენდზე სროლაში — 147, გუნდი ე. პეტროვის, ი. ცურანოვის, ნ. ბენეშის, ვ. სეროვის შემადგენლობით უძლიერესი აღმოჩნდა მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში — 587. პირადი პირველობაც ე. პეტროვის გამარჯვებით დამთავრდა — 200. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. ნებისმიერი მაზხანიდან 300 მეტრზე სროლაში (120 გასროლა) ჩემპიონი გახდა ვ. კორნევი. გუნდური შეჯიბრებაც საბჭოთა მსროლელების გამარჯვებით დამთავრდა. კიდევ ერთი ჩემპიონის ვინაობა გახდა ცნობილი. ესაა სსრ კავშირის გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში — 2400.

◆ **ქაბანა,** 26 ოქტომბერი. ოქროს 3 და ბრინჯაოს 1 მედალი მოიხვეჭეს აქ გამართულ მოკრივეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა. უმძიმეს წონაში ვ. ჩაპოროჟეცმა ფინალში სძლია კუბელი ა. პერესი და პირველი ადგილი დაიკავა. ასეთივე წარმატება ხვდათ წილად ვ. ბაღდასაროვსა (ქვემსუბუქი) და ო. კოროტაევს (ქვემძიმე). ფ. პეტუხოვმა (ქვესაშუალო) დაიმსახურა ბრინჯაოს მედალი.

◆ **მახაჩყალა,** 26 ოქტომბერი. დამთავრდა დაღესტნის ასსრ საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც ამ ავტონომიური რესპუბლიკის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფინალურ ასპარეზობებში მონაწილეობდა 1500 უძლიერესი სპორტსმენი.

◆ *კალი, 26 ოქტომბერი. საბჭოთა მოჭადრაკე ქალი ვ. ბორისენკო კვლავ ლიდერობს მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირს. ახლა მას აქვს 5,5 ქულა (7-დან). ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან ნოვარა (გდრ) და მაუმშტარკი (რუმინეთი) — 4,5-4,5.*

◆ **ფეოდოსია, 26 ოქტომბერი.** აქ მიმდინარეობს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპორტული თამაშები. დამთავრდა ველოსიპედისტთა გუნდური შეჯიბრება ვაჟთათვის და ქალთათვის. ვაჟთა შორის 75 კმ ყველაზე სწრაფად დაფარა რსფსრ-ს გუნდმა. ქალებშიც (20 კმ-ზე) რუსეთის კოლექტივი იყო უძლიერესი.

## არტურ ეში იბრძვის

ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესმა ჩოგბურთელმა, ზანგმა არტურ ეშმა დიდი ხანია მიიქცია მსოფლიო პრესის ყურადღება რასიზმის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობითა და შეხედულებებით. აი, ამერიკელი ჩემპიონის ბოლო გამოსვლა:

„მე თანდათან მივედი იმ შეგნებამდე, რომ ჩემი რასის ხალხში მწიფდება სოციალური რევოლუცია. ეს განსაკუთრებით ეტყობათ ჩემი თაობის წარმომადგენლებს. მე მუდამ ვაცხადებ, რომ ზანგი ვარ. მთელი მსოფლიოს ხალხმა იცის, როგორ დგას ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი პრობლემა. აქ ზანგებს, როგორც წესი, არა აქვთ კარგი სამუშაოს შოვნისა და რიგიან ბინებში ცხოვრების საშუალება. მე ვოცნებობ, რომ გამოვადგე ჩემს მშობლიურ ხალხს და ამიტომ შევედი ლიგაში, რომლის მიზანიცაა ზანგთა სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“.



სურათზე: ა. ეში.

# ყოველი მხრიდან

როცა კორესპონდენტმა ჰკითხა: რა აზრისა ხართ იმ ტურნირებზე, სადაც რასისტული სულისკვეთება მეფობსო, ეშმა თქვა: „როცა რომელიმე შეჯიბრების დროს დისკრიმინაციას ვხედავ, მყისვე საფუძვლიან პროტესტს ვაცხადებ. ეს ჩემი პრინციპული შეხედულებაა“.

## მრისხანე ტალღები

თითქმის ორი საუკუნის წინ ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯეიმს კუკმა ავსტრალიის ნაპირებთან დაინახა ადამიანები, რომლებიც, მისი აზრით, უჩვეულო და სახიფათო საქმეს აკეთებდნენ. მან დღიურში ჩაწერა: „აქ ერთი საოცარი ჩვეულება ჰქონიათ: კაცები ვიწრო ფიცარზე დგებიან და ასე მიცურავენ ოკეანის მრისხანე ტალღებზე“.

თანამედროვე ავსტრალიელებმა გამოიყენეს ადგილობრივი ტომების ტრადიცია და სპორტის მიმზიდველ სახეობად — სიორფინგად აქციეს იგი. სპორტსმენი დგება ხელოვნური მასალისგან ნაკეთებ ვიწრო დაფაზე, რომელიც სიგრძით 2,8-3,8 მეტრია, ხოლო წონით 12,5 კგ. იგი წყალზე საათში 60 კმ სისწრაფეს ავითარებს. თუმცა, კუკის აზრი, რომ ეს ძალიან სახიფათო საქმეა, დღესაც საფუძვლიანია.

მაგალითად, წყნარი ოკეანის ამერიკის სანაპიროზე სიორფინგი ტურისტებისთვის საინტერესო ატრაქციონად იქცა. მას იყენებენ ან რეკლამისთვის, ან კინოგადაღებებისთვის. დიდ ჰონორარზე ოცნება ხშირად ოკეანის მრისხანე ტალღებში იძირება. მარტო შარშან აქ 12 კაცი დაიღუპა: სპორტსმენები ან წონასწორობას ვერ იცავდნენ, ან ზვიგენების მსხვერპლი ხდებოდნენ.

## რეკორდი ჰიპნოზით?

ამ ბოლო დროს სპეციალისტებს აინტერესებთ საკითხი: მართლა შეადგენს თუ არა ჰიპნოზი დოპინგის სახესხვაობას. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარდა ექსპერიმენტები, რომლის დროსაც მორბენლებსა და მტყორცნელებს შეჯიბრებისას ჰიპნოზს უკეთებდნენ.

გამოირკვა, რომ 400 მეტრზე მორბენლებმა პირადი მიღწევები ერთბაშად 2 წამით გააუმჯობესეს. საგანგებოდ მომზადებულმა ბირთვის მკვრელმა თავისი რეკორდი ზუსტად ერთი მეტრით გააუმჯობესა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ჰიპნოზის გავლენით სპორტსმენი კარგავდა თავის თავზე კონტროლს და გარესამყაროსთან კავშირის უნარს, ესე იგი, თითქოს დოპინგს იღებდა. მათი ოპონენტები სხვა აზრისა არიან. სიმართლეს მომავალი გვიჩვენებს. თუ ჰიპნოზის მომხრენი გამართლდნენ, ვინ იცის, რამდენით გაუმჯობესდება რეკორდები.

## შვეიცარიელი ვუნდერკინდი

*სულ ერთი წლის წინ შვეიცარიაში ცოტა ვინმემ თუ იცოდა ამ მძლეოსნის სახელი. 1969 წლის ოქტომბერში ბერნში გამართულ სასკოლო ასპარეზობაში ფაბრიჩო პუსტერლამ არაჩვეულებრივად მსუბუქად გაირბინა 100 მეტრი 11,3 წამში. სპეციალისტებმა მაშინ მიაქციეს მას ყურადღება. სპორტსმენმა წლევანდელ სეზონში ნამდვილი სენსაცია მოახდინა ამ სახეობაში. ციურიხის „ლეტციგგრუნდის“ სტადიონზე მან 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა. 17 წლის ასაკში ბევრ სპრინტერს როდი მიუღწევია ასეთი შედეგისთვის. ახლა პუსტერლა შვეიცარიის დიდი იმედია 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში. მას წვრთნის ევროპის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში ფ. კლერკი.*

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 08393